7961/3-118/21 2 27072021

**7961/3-118/21**
**27-07-2021**

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს (დეპარტამენტი) დირექტორს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის შესაბამისად პარლამენტის წევრი უფლებამოსილია კითხვით მიმართოს მთავრობას, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ სხვა ორგანოს, მთავრობის წევრს, ყველა დონის ტერიტორიული ერთეულის ხელისუფლების ორგანოს, სახელმწიფო დაწესებულებას, პარლამენტის წევრის კითხვაზე დროული და სრული პასუხის გაცემა აუცილებელია

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-8 მუხლის მიხედვით საქართველოს პარლამენტის წევრი უფლებამოსილია ისარგებლოს ნებისმიერი ინფორმაციით რომელიც აუცილებელია მისი უფლებამოსილების განსახორციელებლად, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

გთხოვთ, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გვაცნობოთ:

2016 წლის 1 იანვრიდან დღემდე, ანტიკორუფციული სააგენტოს (დეპარტამენტის) მიერ სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს პარლამენტის რომელიმე წევრის მიმართ, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიმდინარეობდა ან მიმდინარეობს თუ არა ოპერატიულ სამძებრო ღონისძიება.

დადებითი პასუხის შემთხვევაში გთხოვთ გვაცნობოთ, რამდენ შემთხვევაში სააგენტოს მიერ დადასტურდა სამოხელეო, კორუფციული დანაშაულის არსებობა და რამდენ შემთხვევაში დღემდე მიმდინარეობს საქმის წარმოება.

**პატივისცემით,**

პარლამენტის წევრი
ლევან ხაბეიშვილი

ლ. ხაბეიშვილი